



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/34

ქ. თბილისი

30 სექტემბერი 2021

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)
2014 წლის 29 იანვრის №46 სხდომის №1 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ
„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების
(მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულებაში
ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 სექტემბრის №01-05-04/143 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 სექტემბრის №01-06-02/10 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 29 იანვრის №46 სხდომის №1 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების

(მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დებულების მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში თითოეულ ფაკულტეტს ჰყავს ორი წარმომადგენელი. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. აკადემიურ საბჭოში თითოეულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს (გარდა ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულისა), შეიძლება ჰყავდეს ერთი წარმომადგენელი. აკადემიურ საბჭოს წევრად აირჩევა ამ ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, გარდა საბჭოს თავმჯდომარის და დირექტორისა.

4. აკადემიური საბჭოს წევრებს ფაკულტეტიდან ირჩევენ შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და ფაკულტეტის საბჭოს წევრ-სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. აკადემიური საბჭოს წევრს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან ირჩევენ შესაბამისი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრი.“

ბ) დებულების 31-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:


4. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ამომრჩეველთა სიებში შეიტანება მოცემული ფაკულტეტის ყველა პროფესორი, აკადემიურ საბჭოში წარმომადგენლის არჩევისას და წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) წარმომადგენლების არჩევისას დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ამომრჩეველთა სიებში შეიტანება შესაბამისი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრი.

გ) ამოღებული იქნას დებულების 44-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გახოვიძე